

პროფესიული საგანმანათლებლო  
პროგრამების განმახორციელებელ  
დაწესებულებებში ინკლუზიური  
განათლების უზრუნველყოფის  
გზამკვლევი

სპეციალური საგანმანათლებლო  
საჭიროების მქონე პროფესიული  
სტუდენტების პრაქტიკის ადგილზე  
ტრანზიციის ხელშეწყობა

# სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის ადგილზე ტრანზიციის ხელშეწყობა

გზამკვლევი მომზადებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის“ პროგრამის „ინკლუზიური განათლების განვითარების ხელშეწყობა პროფესიული განათლების საფეხურზე“ ქვეპროგრამის ფარგლებში.

გზამკვლევზე მუშაობდა თეონა გავაშელიშვილი



საქართველოს განათლების,  
მეცნიერების, კულტურისა და  
სპორტის სამინისტრო

2020

# სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის ადგილზე ტრანზიციის ხელშეწყობა

- საწარმოო პრაქტიკის მნიშვნელობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის
- საწარმოო პრაქტიკის ადგილზე ტრანზიციის პროცესი
- სამუშაოზე დაფუძნებული/დუალური სწავლების დროს პრაქტიკის ადგილზე ტრანზიციის ხელშეწყობა

## საწარმოო პრაქტიკის მნიშვნელობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია საწარმოო პრაქტიკა. სწორედ ამ ეტაპზე ხდება მანამდე დაგროვილი თეორიული ცოდნისა და უნარების რეალურ სამუშაო სივრცეში გამოყენება.

სტუდენტისთვის ეს ეტაპი მნიშვნელოვნად განსხვავდება სასწავლო პროცესში არსებული პრაქტიკული ნაწილისგან: ერთის მხრივ, სასწავლო პრაქტიკის დროს სტუდენტი უშუალო სწავლის პროცესშია, რომლის ფარგლებშიც, თანდათანობით ივითარებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, ხოლო მეორე მხრივ, ის მასწავლებლის აქტიური ზედამხედველობის ქვეშაა და მუდმივად იღებს მუშაობასთან დაკავშირებულ რჩევებსა და სხვადასხვა ტიპის დახმარებას (მოდელირება, ვერბალური ინსტრუქცია და სხვა.)

რაც შეეხება საწარმოო პრაქტიკას, ამ დროს, სტუდენტს მოეთხოვება საკუთარი ცოდნის დემონსტრირება და მაქსიმალური დამოუკიდებლობის გამოვლენა (კომპეტენციის ფარგლებში) სამუშაო დავალებების შესრულებისას. გარდა ამისა, საწარმოო პრაქტიკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებლად გადასალახი გამოწვევაა, რომელიც საგანმანათლებლო სივრცეში დაგროვილი ცოდნის რეალური დასაქმების ადგილზე გამოყენებას მოითხოვს. საწარმოო პრაქტიკა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის რადგან:

- საშუალებას აძლევს სასწავლო გარემოსგან განსხვავებულ გარემოში მოახდინოს საკუთარი ცოდნის გადატანა/ გენერალიზება;
- ეხმარება სამუშაო გარემოსა და პროფესიულ მოვალეობებზე სწორი მოლოდინები შექმნაში;
- საშუალებას აძლევს აიმაღლოს პროფესიულ უნარებთან დაკავშირებული თვითშეფასება;

შესაბამისად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკის ადგილად მნიშვნელოვანია პრიორიტეტი ენიჭებოდეს არა ადგილობრივ პრაქტიკას (იმავე პროფესიულ კოლეჯში პროფესიის შესაბამისი პრაქტიკის გავლას), არამედ რეალურ, პოტენციური დასაქმების ადგილზე ტრანზიციას (გადასვლას).

იმისათვის, რომ საწარმოო პრაქტიკის ადგილზე ტრანზიციის პროცესი ორგანიზებულად და შეუფერხებლად წარიმართოს, მნიშვნელოვანია, ჩართული პირების დროული და კოორდინირებული მუშაობა საწარმოო პრაქტიკის ადგილის შეფასების და ტრანზიციისთვის საჭირო აქტივობების დაგეგმვის მიზნით.

### **საწარმოო პრაქტიკის ადგილზე ტრანზიციის პროცესი**

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის საწარმოო პრაქტიკის ადგილზე ტრანზიციის პროცესი, ხშირად, წინასწარ გააზრებულ დაგეგმვას, საჭირო რესურსების მოძიება/მოზილიზებას და გარემოს შესაბამის მომზადებას მოითხოვს. ამჟამად, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, პროფესიული სტუდენტისთვის საწარმოო პრაქტიკის გავლის უზრუნველსაყოფად, ძირითადად მოლაპარაკებას აწარმოებენ პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელი და კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი. ხოლო საწარმოო პრაქტიკის ობიექტის წინასწარ შერჩევა, საწარმოო პრაქტიკის პროფესიული განათლების მასწავლებლის, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერისა და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის წინასწარი მოკვლევისა და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე ხორციელდება.


როდესაც საკითხი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის საწარმოო პრაქტიკის დაგეგმვას ეხება, მნიშვნელოვანია, პროცესში ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ჩართვაც, რომელიც პრაქტიკის ადგილის დამატებით შეფასებას (იხილეთ დანართი №1) და პრაქტიკის ადგილზე სტუდენტის ტრანზიციის გეგმის (იხილეთ დანართი №2) შემუშავებას განახორციელებს.

ცალკეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის საჭიროებიდან გამომდინარე, საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში შესაძლოა სხვადასხვა ტიპისა და ინტენსივობის მხარდაჭერა გახდეს საჭირო. თითოეულ შემთხვევაში, უნდა მოხდეს მხარდაჭერის ტიპის და სტრატეგიის განსაზღვრა - რა ტიპის მხარდაჭერა სჭირდება სტუდენტს კონკრეტულ სამუშაო ადგილთან, ფუნქციურ თუ სოციალურ უნარებთან დაკავშირებით. თუმცა, რაც ყველა შემთხვევაში აუცილებელია, ეს არის შესაბამისი შეფასების წარმოება და პრაქტიკის ადგილზე შესაძლო რისკებისა და უსაფრთხოების ნორმების ანალიზი, რის საფუძველზეც, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის სპეციალისტთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად არჩევს და ამზადებს რელევანტურ გარემოს.

იმის გათვალისწინებით, თუ რა ტიპის მხარდაჭერას საჭიროებდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი სწავლების პროცესში, ხდება შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზება. მაგალითად, თუ სტუდენტი სასწავლო პროცესში სარგებლობდა პირადი ასისტენტის მხარდაჭერით, დიდი ალბათობით, იგივე სერვისი დასჭირდება პრაქტიკის ადგილზეც. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ ახალ გარემოში სტუდენტს შესაძლოა ისეთი ტიპის მხარდაჭერაც დასჭირდეს, რომლითაც ის სასწავლო პროცესში არ სარგებლობდა.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ საწარმოო პრაქტიკის დროს საბოლოო მიზანს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის დამოუკიდებლობის ხარისხისა და დასაქმების შანსის/ალბათობის გაზრდა წარმოადგენს. შესაბამისად, აუცილებელია იმის განსაზღვრაც, თუ ეტაპობრივად როგორ შემცირდება სტუდენტისთვის განსაზღვრულ დახმარება, მაგალითად, როგორც მოხდება სრული ასისტირებიდან მინიმალურ ასისტირებაზე გადასვლა და საბოლოო ჯამში, მაქსიმალურად დამოუკიდებელ შესრულების მიღწევა (რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება).

ასეთ დროს, აუცილებელია კარგად განისაზღვროს, თუ რეალურად რამდენად საჭიროა მთლიანი საწარმოო პრაქტიკის პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტს ჰყავდეს პირადი ასისტენტი. მაგალითად, როდესაც საუბარია ახალ გარემოში უსინათლო სტუდენტის გადაადგილების სირთულეზე, საწყის ეტაპზე მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტის ჩართვით, მალევე შეიძლება მოხდეს კონკრეტულ გარემოში გადაადგილების დასწავლა; შესაბამისად, სტუდენტს აღარ დასჭირდება მთლიანი პრაქტიკის მანძილზე ასისტენტი. ხოლო თუ კონკრეტული საქმიანობა ინდივიდისთვის გარკვეული საფრთხის შემცველია, უმჯობესია მთლიანი პრაქტიკის ფარგლებში მისთვის ისეთი აქტივობების/დავალებების შერჩევა, რომელიც ერთი მხრივ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი იქნება და მეორე მხრივ, ნაკლები საფრთხის შემცველი იქნება სტუდენტისთვის. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი შესაძლებლობა არ არსებობს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტს დასჭირდება მთლიანი პრაქტიკის დროს ასისტენტის მხარდაჭერით სარგებლობა.



სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა პრაქტიკის ადგილზე ასისტენტის ჩართვის საჭიროების განსაზღვრის ნიმუში

ამრიგად, იმისათვის, რომ სწორად და წარმატებულად წარიმართოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის პრაქტიკის პროცესი, მნიშვნელოვანია საწარმოო ობიექტზე ტრანზიციის პროცესის დროული ინიცირება და შესაბამისი დაგეგმვა. კერძოდ, საწარმოო პრაქტიკის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი თვით ადრე, უნდა მოხდეს ინკლუზიური განათლების სპეციალისტისა და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის, ასევე პრაქტიკის მასწავლებლისა და პრაქტიკის მენეჯერის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ერთობლივი მუშაობის დაწყება პრაქტიკის ობიექტის შესარჩევად და შესაფასებლად. ინკლუზიური განათლების სპეციალისტს უნდა ჰქონდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის შესაძლებლობებისა და გამოწვევების შესახებ სრული და შეჯამებული ინფორმაცია, რომელიც სწავლის პროცესში სტუდენტზე დაკვირვების შედეგად დაგროვდა.

ალტერნატიული საწარმოო პრაქტიკის ადგილების არსებობის შემთხვევაში, კონკრეტული სტუდენტისთვის პრაქტიკის ობიექტის შერჩევა, სწორედ მისი საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. თუმცა, ყველა შემთხვევაში, საჭირო ხდება ობიექტის წინასწარი შეფასება სწორი არჩევანის გაკეთების და შერჩეული ობიექტის მომზადება/მორგების მიზნით. პრაქტიკის ობიექტის მომზადებასთან დაკავშირებული ღონისძიებები თავის მხრივ, აისახება სტუდენტის ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმაში. გასათვალისწინებელია, რომ ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმაზე მუშაობას ინკლუზიური განათლების გუნდი სასწავლო პროცესის საწყისი ეტაპებიდანვე იწყებს და წინასწარ გეგმავს იმ აუცილებელ ნაბიჯებს, რომლებიც სტუდენტს პრაქტიკის ადგილზე წარმატებულ და ეფექტიან გადასვლაში დაეხმარება.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში განსაზღვრული მხარდაჭერა შესაძლოა მოიცავდეს:

- ✓ პრაქტიკის ობიექტის გარემოს ადაპტირებას;
- ✓ პრაქტიკის დროს განსახორციელებელი საქმიანობების/დავალებების ადაპტირებას;
- ✓ დატვირთვის, დასვენებისა და მოქნილი, ინდივიდუალურად მორგებული გრაფიკის შედგენას;
- ✓ საჭირო დახმარების განსაზღვრას (მაგ.: დამატებითი სპეციალისტის/ადამიანური რესურსის დაქირავება);
- ✓ პრაქტიკის ადგილთან სტუდენტის თანდათანობით შეგუების პროცედურის დაგეგმვას;
- ✓ მომავალი თანამშრომლების/ორგანიზაციის წინასწარ მომზადებას;
- ✓ თანამშრომლების მხრიდან სუპერვიზიის აუცილებლობის განსაზღვრას და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფას;

- ✓ პრაქტიკის ადგილზე ეფექტიანი თანამონაწილეობისთვის აუცილებელი სოციალური და ფუნქციური უნარების გაუმჯობესებაზე ზრუნვას და სწავლებას;
- ✓ და სხვა...

ახალ სამუშაო გარემოში გადასვლის გაადვილების მიზნით, სტუდენტს შესაძლოა წინასწარ გავაცნოთ პრაქტიკის ობიექტი, რაც თავის მხრივ შეიძლება მოიცავდეს:


- ობიექტის სურათების მომზადება/ჩვენებას;
- ობიექტთან დაკავშირებული მოკლე ვიდეო მასალის მომზადება/ჩვენებას;
- კომპანიის შესახებ ინფორმაციის მომზადება/გაცნობას;
- სტუდენტის მიერ ობიექტზე შესასრულებელი მოვალეობების დეტალურად აღწერა/გაცნობას;
- პირველ ეტაპზე, პრაქტიკის ადგილზე სტუდენტისთვის ასისტირების გაწევას დახმარების თანდათანობით შემცირებით;
- და სხვა...

ამრიგად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის საწარმოო პრაქტიკაში ჩართვა შემდეგ ძირითად საფეხურებს შეიძლება მოიცავდეს:

- ✓ ობიექტის მოძიება მინიმუმ ერთი თვით ადრე პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის, პრაქტიკის მასწავლებლის და ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ჩართულობით;
- ✓ შესაძლო ალტერნატივების შერჩევა, ალტერნატივების გამოხშირვა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე კონკრეტული სტუდენტის შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, პრაქტიკის ადგილის ოპტიმალური ვარიანტების შერჩევა;
- ✓ ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მიერ პრაქტიკის ადგილის შეფასება შესაბამისი მეთოდისა და ფორმის მიხედვით;
- ✓ პრაქტიკის ობიექტის შეფასების შედეგების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტთან და პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირთან ერთად განხილვა;
- ✓ განხილვის შედეგად, სტუდენტისთვის შესაბამისი საწარმოო პრაქტიკის ადგილი შერჩევა.

ცხრილი N1: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის საწარმოო პრაქტიკის პროცესში ჩართვა





იმ შემთხვევაში, თუ პროცესის საწყის ეტაპზევე ზეპირი კონსულტაციების შედეგად მოხდა პრაქტიკის მხოლოდ ერთი უალტერნატივო ობიექტის განსაზღვრა, მაშინ, პრაქტიკის ადგილის შეფასების შედეგების განხილვა მხოლოდ ტრანზიციის გეგმის შედგენის მიზნით ხდება.

პრაქტიკის ადგილის შეფასების მონაცემები, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან ერთად, წარმოადგენს სტუდენტის პრაქტიკის ადგილზე ტრანზიციის დაგეგმვის ერთგვარ საფუძველს, რომელშიც ნათლად უნდა იყოს ასახული სტუდენტის პრაქტიკის ადგილზე ეფექტიანი ჩართვისთვის საჭირო თითოეული აქტივობა/ღონისძიება და მის განხორციელებასთან დაკავშირებული დეტალები.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მიერ უკვე საწარმოო პრაქტიკის დროს განხორციელდეს პროცესის მონიტორინგი (იხილეთ დანართი N3), რათა საჭიროების შემთხვევაში, დროულად მოხდეს შესაბამისი რეაგირების გაწევა.

გასათვალისწინებელია, რომ პრაქტიკის ობიექტზე ტრანზიციის პროცესში, მნიშვნელოვანია, როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის, ასევე, თავად პარტნიორი ორგანიზაციის შესაბამისი მხარდაჭერა. ერთი მხრივ, მიმღებ დაწესებულებას შესაძლოა არ ჰქონდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებთან ურთიერთობის წინარე გამოცდილება და მეორე მხრივ, ყოველ ახალ სტუდენტთან მიმართებით, მიმღები დაწესებულების სრულიად განსხვავებული მომზადებაა აუცილებელი.

## სამუშაოზე დაფუძნებული/დუალური სწავლების დროს პრაქტიკის ადგილზე ტრანზიციის ხელშეწყობა

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის სათანადო მხარდაჭერის განსაზღვრა და გაწევა, მნიშვნელოვანია სამუშაოზე დაფუძნებული/დუალური სწავლების შემთხვევაშიც.

სამუშაოზე დაფუძნებული/დუალური პროგრამის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა პრაქტიკის/დასაქმების ადგილზე ტრანზიციის ხელშეწყობის პროცესის მიმდინარეობა, მცირედით განსხვავდება მოდულური პროგრამების ფარგლებში განსაზღვრულისგან.

სამუშაოზე დაფუძნებული/დუალური პროგრამების შემთხვევაში, როგორც წესი, პრაქტიკის ნაწილი თეორიული სწავლების პარალელურად მიმდინარეობს და ითვალისწინებს ზოგიერთი სწავლის შედეგის რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკით ან სტაჟირებით მიღწევას. შესაბამისად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის პრაქტიკის ადგილზე ტრანზიციისთვის მომზადება, ისევე, როგორც პრაქტიკის ობიექტის მომზადება სტუდენტისთვის, მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე მოხდეს.

ასევე, გასათვალისწინებელია, რომ დუალური საგანმანათლებლო პროგრამის დროს, რიგ შემთხვევებში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი კონკრეტული ორგანიზაციის თანამშრომლის როლს ითავსებს და შესაბამისად, მნიშვნელოვანია მისი მხარდაჭერა ახალი პროფესიული როლის მორგებასა და კონკრეტულ სამუშაოსთან მიმართებით საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად განვითარებაში.

იმ შემთხვევაში, როდესაც პარტნიორი ორგანიზაცია გეგმავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთან ხანგრძლივ თანამშრომლობას, შესაძლებელია გარკვეული ადაპტაციების განხორციელება და რესურსების მობილიზება სწორედ დამჭირავებლის მხრიდან მოხდეს მომავალი თანამშრომლისთვის გარემო პირობების ხელმისაწვდომის გაზრდის მიზნით. აღნიშნულ პროცესში, მნიშვნელოვანია ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ჩართულობა და თავად სტუდენტის, დასაქმების გარემოსა და შესასრულებელი საქმიანობის სიღრმისეული შეფასების საფუძველზე, სამუშაო ადგილისა და პროცესის მორგებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება.

დანართი № 1. პრაქტიკის ადგილის შეფასების ფორმა

<b>პრაქტიკის ადგილის შეფასების ფორმა</b>		
პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციის სახელწოდება:		მისამართი:
შევსების თარიღი:	შემფასებლის სახელი, გვარი:	პოზიცია:
პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციას აქვს შშმ/სსსმ პირებთან მუშაობის გამოცდილება		<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა
პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციის ფიზიკური გარემო ადაპტირებულია შშმ/სსსმ მქონე პირებისთვის	<input type="checkbox"/> სრულად ადაპტირებულია <input type="checkbox"/> ნაწილობრივ ადაპტირებულია (გთხოვთ, დააზუსტოთ რა ტიპის ადაპტაციები არსებობს) <input type="checkbox"/> საჭიროებს ადაპტირებას (გთხოვთ, დააზუსტოთ რა ტიპის ადაპტაციები არსებობს)	
პრაქტიკის/დასაქმების ობიექტზე სამუშაო დრო არის	<input type="checkbox"/> ფიქსირებული, ___ -დან ___-მდე <input type="checkbox"/> ცვალებადი/მოქნილი, დააზუსტეთ:	
<p><i><b>ინსტრუქცია:</b> კონკრეტული პრაქტიკის ობიექტი თითოეულ დებულებასთან მიმართებით შეაფასეთ და აღნიშნეთ აღნიშნული ფორმა ივსება მხოლოდ პრაქტიკის ადგილზე უშუალო დაკვირვების შედეგად.</i></p>		
<b>სამუშაო საქმიანობის შესრულების დამოუკიდებლობის ხარისხი</b>		
1. სამუშაო საქმიანობა სრულდება დამოუკიდებლად	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა კომენტარი:	
2. სამუშაო საქმიანობის შესრულება მოითხოვს (შესაძლებელია ერთზე მეტი პასუხის მონიშვნა)	<input type="checkbox"/> მუდმივ სუპერვიზიას <input type="checkbox"/> საშუალო ინტენსივობის სუპერვიზიას <input type="checkbox"/> მინიმალურ სუპერვიზიას <input type="checkbox"/> ხშირ ვერბალურ მინიშნებას <input type="checkbox"/> ხშირ ვიზუალურ მინიშნებას <input type="checkbox"/> სამუშაო საქმიანობის შესრულება არ მოითხოვს სუპერვიზიასა და მინიშნებას	
<b>ფიზიკური გარემო მახასიათებლები</b> თითოეული შეკითხვისთვის მონიშნეთ ერთი პასუხი		
1. საქმიანობა სრულდება შემდეგი ტიპის სივრცეში	<input type="checkbox"/> ღია <input type="checkbox"/> დახურული	

2. სამუშაო გარემო ხასიათდება შემდეგი <b>ტემპერატურით</b>	<input type="checkbox"/> ნეიტრალური <input type="checkbox"/> დაბალი <input type="checkbox"/> მაღალი
3. სამუშაო სრულდება შემდეგი <b>სიმაღლის ზედაპირზე</b>	<input type="checkbox"/> იატაკის დონე <input type="checkbox"/> იატაკის დონიდან ამაღლებული <input type="checkbox"/> იატაკის დონეზე ქვემოთ
4. სამუშაო სრულდება შემდეგი ტიპის <b>განათების</b> პირობებში	<input type="checkbox"/> დაბალი <input type="checkbox"/> მკვეთრი <input type="checkbox"/> ნეიტრალური
5. სამუშაო სრულდება შემდეგი ტიპის <b>იატაკის ზედაპირზე</b>	<input type="checkbox"/> მოლიპული <input type="checkbox"/> დამრეცი / ქანობი <input type="checkbox"/> არასწორი <input type="checkbox"/> ვიწრო <input type="checkbox"/> სწორი
6. სამუშაო სრულდება შემდეგი ინტენსივობის <b>ხმაურში</b>	<input type="checkbox"/> ნეიტრალური <input type="checkbox"/> საშუალო <input type="checkbox"/> ძლიერი
7. სამუშაო სრულდება შემდეგი ინტენსივობის <b>ნესტიან და/ან ტენიან</b> გარემოში	<input type="checkbox"/> ნეიტრალური <input type="checkbox"/> საშუალო <input type="checkbox"/> ძლიერი
8. სამუშაო სრულდება <b>ვიბრაციის</b> შემდეგი ინტენსივობის პირობებში	<input type="checkbox"/> ნეიტრალური <input type="checkbox"/> საშუალო <input type="checkbox"/> ძლიერი
9. სამუშაო სრულდება შემდეგი ინტენსივობის <b>გამოსხივების</b> პირობებში	<input type="checkbox"/> ნეიტრალური <input type="checkbox"/> საშუალო <input type="checkbox"/> ძლიერი
10. სამუშაო სრულდება შემდეგი ინტენსივობის <b>აირების</b> პირობებში	<input type="checkbox"/> ნეიტრალური <input type="checkbox"/> საშუალო <input type="checkbox"/> ძლიერი
11. სამუშაო სრულდება შემდეგი ინტენსივობის <b>გამონაბოლქვის</b> პირობებში	<input type="checkbox"/> ნეიტრალური <input type="checkbox"/> საშუალო <input type="checkbox"/> ძლიერი
12. სამუშაო გარემო ხასიათდება შემდეგი ინტენსივობის <b>სპეციფიკური სურნელით / ებით</b>	<input type="checkbox"/> ნეიტრალური <input type="checkbox"/> საშუალო <input type="checkbox"/> ძლიერი
13. სამუშაო სრულდება მტვერის პირობებში	<input type="checkbox"/> ნეიტრალური <input type="checkbox"/> საშუალო <input type="checkbox"/> ძლიერი
14. სამუშაო სრულდება ნისლის პირობებში	<input type="checkbox"/> ნეიტრალური <input type="checkbox"/> საშუალო <input type="checkbox"/> ძლიერი
15. სამუშაო შეიცავს <b>მექანიკურ საფრთხეს</b>	<input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> დიახ, დააზუსტეთ

16. სამუშაო შეიცავს ელექტრო საფრთხეს	<input type="checkbox"/> არა  <input type="checkbox"/> დიახ, დააზუსტეთ:
17. სამუშაო გულისხმობს ცეცხლის არსებობას	<input type="checkbox"/> არა  <input type="checkbox"/> დიახ, დააზუსტეთ:
18. სამუშაო უკავშირდება ცხელ მასალებს / ნივთიერებებს / საგნებს	<input type="checkbox"/> არა  <input type="checkbox"/> დიახ, დააზუსტეთ
19. სამუშაო უკავშირდება ბასრ საგნებს და იარაღებს	<input type="checkbox"/> არა  <input type="checkbox"/> დიახ, დააზუსტეთ
20. სამუშაო უკავშირდება ქიმიურ ნივთიერებებს და საფრთხეებს	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა
21. სამუშაო გარემო ხასიათდება სწრაფად და ხშირად მოძრავი ობიექტებით / საგნებით	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა
22. სამუშაო გარემო ხასიათდება გადატვირთული სივრცით	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა
23. სამუშაო მიმდინარეობს უნიფორმის და / ან დამცავი საშუალებების (სათვალე, ხელთათმანი, ჩაფხუტი) გამოყენებით	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა
<i>სამუშაო გარემოს ფიზიკური მახასიათებლების შეჯამება:</i>	
<b>სამუშაო სივრცე</b>	
1. სამუშაო მოითხოვს რეგულარულ ცვლილებებს სამუშაო სივრცეში (ხალხის, საგნების მოძრაობა, ცვლილება)	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა
2. სამუშაო მოითხოვს რეგულარულ ცვლილებას სივრცეებს შორის (ერთი სივრციდან მეორეში გადასვლა)	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა
<i>პრაქტიკის ადგილის სამუშაო სივრცის მახასიათებლების შეჯამება:</i>	

<b>სამუშაოს სტრუქტურა</b> <i>მონიშნეთ ერთი შესაბამისი პასუხი</i>	
<input type="checkbox"/> სამუშაო მკაცრად სტრუქტურირებულია და მოითხოვს შემსრულებლისგან თანმიმდევრობის ზედმიწევნით ცოდნას, დაცვას / მიყოლას	
<input type="checkbox"/> სამუშაო არ არის მკაცრად სტრუქტურირებული, შემსრულებელს შეუძლია მისი შეხედულებისამებრ ორგანიზება, დაგეგმვა და განხორციელება	
<b>პრაქტიკის ადგილის სამუშაო სტრუქტურის მახასიათებლების შეჯამება:</b>	
<b>ცვლილებებისადმი სენსიტიურობა</b> <i>თითოეული შეკითხვისთვის მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე პასუხი</i>	
1. საქმიანობა შესრულების დროს მოითხოვს გარემოში შემდეგი მახასიათებლების ცვლილებას	<input type="checkbox"/> სუნი <input type="checkbox"/> მოძრაობა <input type="checkbox"/> ხმა <input type="checkbox"/> ტემპერატურა <input type="checkbox"/> ტექსტურა <input type="checkbox"/> ფორმა <input type="checkbox"/> განლაგება <input type="checkbox"/> განათება
2. საქმიანობა მოითხოვს საჭიროების შემთხვევაში ცვლილებებზე შემდეგი ტიპის რეაგირებას	<input type="checkbox"/> დამოუკიდებლად მოგვარებას <input type="checkbox"/> სხვისთვის მიმართვას მოგვარებისთვის
3. სამუშაოს შესრულება მოითხოვს სივრცის/ადგილის ცვლილებას	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა
4. სამუშაოს შესრულება მოიცავს ირგვლივ მყოფი ადამიანების ცვლილებას	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა
5. სამუშაოს შესრულება მოიცავს სამუშაო პერიოდის ცვლილებას	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა
<b>პრაქტიკის ადგილთან დაკავშირებული ცვლილებებისადმი სენსიტიურობის შეჯამება:</b>	
<b>სოციალური გარემოს მახასიათებლები</b>	
1. სამუშაო სრულდება საჯარო სივრცეში ან ხალხმრავალ გარემოში ინდივიდუალურად	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა
2. სამუშაო სრულდება განმარტოებულ სივრცეში ინდივიდუალურად	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა

3. სამუშაო სრულდება წვეილში	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა
4. სამუშაო სრულდება მცირე ჯგუფებში	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა
4. სამუშაო მოითხოვს თანამშრომლობას სხვებთან (ჯგუფი, მეწყვილე) სამუშაო დავალებების შესრულებისას	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა
<p>პრაქტიკის ადგილთან დაკავშირებული სოციალური გარემოს მახასიათებლების შეჯამება:</p>	
<p>სამუშაო აქტივობებთან და გარემოსთან დაკავშირებული დამატებითი რისკ ფაქტორები:</p>	

დანართი № 2. სტუდენტის პრაქტიკის ადგილზე ტრანზიციის დაგეგმვის ფორმა

სტუდენტის პრაქტიკის ადგილზე ტრანზიციის დაგეგმვის ფორმა				
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება:				
სტუდენტის სახელი, გვარი:			სტუდენტის პ/ნ:	
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:			პრაქტიკის საათების ჯამური რაოდენობა:	
დოკუმენტის შევსებაზე პასუხისმგებელი პირი:			შევსების თარიღი:	
დაგეგმილი აქტივობები <sup>1</sup>	პასუხისმგებელი პირი/პირები	ვადა/დრო	საჭირო რესურსები	კომენტარი/შენიშვნა
1.				
2.				
3.				
4.				
5.				
<b>შედეგები</b>				
(ივსება ტრანზიციის გეგმის განხორციელების ბოლოს)				

<sup>1</sup> აქტივობების რაოდენობა შეზღუდული არ არის, შესაბამისად, შესაძლებელია დაემატოს ან მოაკლდეს ველი



დანართი № 3 . პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგის ფორმა

**პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგის ფორმა**

სტუდენტის სახელი, გვარი:

მონიტორინგის ადგილი:

მონიტორინგის განმახორციელებელი პირი:

შევსების თარიღი:

შეფასების ასპექტი:	შეფასება:	კომენტარი:
1. მიყვება დაგეგმილ პროცედურებს	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> ნაწილობრივ	
2. სათანადოდ ასრულებს მასზე დაკისრებულ სამუშაოს	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> ნაწილობრივ	
3. შესაბამისად იყენებს სამუშაო ინსტრუმენტებს	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> ნაწილობრივ	
4. საჭიროებისამებრ იყენებს სუპერვიზიას/დახმარებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> ნაწილობრივ	
5. ამყარებს თანამშრომლებთან კომუნიკაციას	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> ნაწილობრივ	
6. იღებს და ითვალისწინებს სამუშაოსთან დაკავშირებულ შეფასებას/უკუკავშირს	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> ნაწილობრივ	
7. შესაბამისად იყენებს დასვენების დროს	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> ნაწილობრივ	
8. იცავს სამუშაო გარემოში დადგენილ წესებს	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> ნაწილობრივ	
9. რეგულარულად და დროულად ცხადდება სამუშაო ობიექტზე, იცავს სამუშაო განრიგს	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> ნაწილობრივ	
10. სამუშაო ადგილზე მიდის მოწესრიგებული	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> ნაწილობრივ	
11. იცავს უსაფრთხოების წესებს	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> ნაწილობრივ	
12. იცავს ზოგადი ჰიგიენის წესებს	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> ნაწილობრივ	
13. ადეკვატურად რეაგირებს სტრესზე/რუტინის ცვლილებაზე	<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა <input type="checkbox"/> ნაწილობრივ	

მონიტორინგის შედეგების შეჯამება :

---



---



---



---